სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№01-04/93 ბ რ ძ ა ნ ე ბ ა § 12.12.2018 წელი

2018 წლის საშემოდგომო მიღების მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეული სპეციალისტებისათვის სასწავლო დატვირთვის ნორმატივების, სასწავლო გარემოს მიხედვით ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროგრამის ხელმძღვანელების გამოყოფის, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისა და საათობრივი ანაზღაურებით მოწვეული სპეციალისტების ანაზღაურების ნორმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახორციელების ხელშეწყობის მიზნით შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის, პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადებისა და მტკიცებულებების შენახვაზე პასუხისმგებელი პირის, პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისის ფორმისა და უწყისის წარმოების წესის, პროფესიული სტუდენტის, პედაგოგის გამოკითხვის, მეცადინეობებზე დასწრების ოქმის, შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების კითხვარის ფორმების დამტკიცებისა და პროცედურის ვადების განსაზღვრის შესახებ:

1. დამტკიცდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეული სპეციალისტებისათვის მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვის ნორმატივები შემდეგი სახით:
   1.1. საშემოდგომო მიღების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული სპეციალისტის დატვირთვის მთლიანი მოცულობა (თეორიული, პრაქტიკული მეცადინეობის, შეფასების, და საწარმოო პრაქტიკის) განისაზღვროს არა უმეტეს 700 საათის ოდენობით.
   1.2. პროგრამის ხელმძღვანელებს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობისათვის ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მიეცეთ 50 სთ.
   1.3. დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა, მიმართულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებმა, უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა, მასწავლებელმა, ხელშეკრულებით მოწვეულმა სპეციალისტმა, ტექნიკურმა პერსონალმა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო დატვირთვის განაწილების დროს ზუსტად დაიცვან უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21ივნისის №101 (17/18) დადგენილებით განსაზღვრული ნორმები.
   1.4. უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორს, რომლის სასწავლო დატვირთვის მინიმალური ოდენობა (90 სთ.) განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21ივნისის №101(17/18) დადგენილებით მიეცეს მოდულურ პროფესიულ პროგრამებზე სასწავლო კურსების განხორციელების უფლება 200 საათის მოცულობით.
   1.5. განსაკუთრებულ შემთხვევებში, საშემოდგომო მიღების მოდულურ პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალისტის მოწვევის მიზანშეწონილობისა და მისი ანაზღაურების ოდენობის საკითხი შეთანხმდეს რექტორთან, დეკანის არგუმენტირებული წარდგინების საფუძველზე, კონკრეტული პროგრამის განხორციელების ვადისა და სხვა პირობების გათვალისწინებით.

2. დამტკიცდეს მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო გარემოს (სწავლების კონპონენტების) მიხედვით ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა შემდეგი სახით:

2.1. მოდულის სწავლების A გარემოში სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს 15-20 სტუდენტით;

2.2. მოდულის სწავლების B და C გარემოში სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება მოდულის მიხედვით;

2.3. საწარმოო პრაქტიკაზე ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს ხელშეკრულების შესაბამისად;

3. დამტკიცდეს 2018 წლის საშემოდგომო მიღებაზე ჩარიცხულ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროგრამის ხელმძღვანელები:

3.1. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი-V საფეხური (ნ.ქობულაძე);

3.2. ბიბლოთეკარი- IV საფეხური (გ.ჭიჭინაძე);

3.3. ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი- IV საფეხური (ვ. წიქვაძე);

3.4. საბაჟო საქმე- V საფეხური (ს. სვანაძე);

3..5. სარეკლამო აგენტი- IV საფეხური (მ.ახვლედიანი);

3.6. სისტემების ადმინისტრატორი - V საფეხური (თ.ფესტვენიძე).

4. დამტკიცდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისა და საათობრივი ანაზღაურებით მოწვეული სპეციალისტების ანაზღაურების ნორმა:

4.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთი საკონტაქტო საათის სარგო (ანაზღაურება) განისაზღვროს - 10,0 ლარი;

4.2. საწარმოო პრაქტიკა-პრაქტიკის ხელმძღვანელობის საათების რაოდენობა განისაზღვრობა მოდულის მიხედვით;

5. 2018 წლის საშემოდგომო მიღების მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროგრამის ხელმძღვანელებმა მოწვეული სპეციალისტებისათვის სასწავლო დატვირთვის ნორმატივები, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობი, შეფასება, პრაქტიკის ანაზღაურების ნორმები, სწავლების კომპონენტების მიხედვით ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობები განსაზღვრონ მოდულების და ამ ბრძანების პირველი, მე-2 და მე-4 მუხლების მიხედვით.

6. განსაკუთრებულ შემთხვევებში, მოდულურ პროფესიულ პროგრამაზე მოწვეული პერსონალის სასწავლო დატვირთვის პარამეტრების განსაზღვრის საკითხი შეთანხმდეს უნივერსიტეტის რექტორთან ფაკულტეტის დეკანისა და პროფესიული პროგრამების კოორდინატორის წარდგინებით.

7. სასწავლო პროცესის მონიტორინგი (ამ ბრძანების მე-9 მუხლის 9.3 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით) დაევალოთ მოდულური პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი ფაკულტეტების დეკანის მოადგილეებს, პროფ. ვ.კვანტიძეს; ასოც.პროფ. ნინო გოგოლაძეს; ასოც.პროფ. მ.ლომინაშვილს; ასოც. პროფ. მანანა დეისაძეს.

8.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახორციელების ხელშეწყობის მიზნით შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნა

8.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,ბიბლიოთეკარი" და „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი" განახორციელების ხელშეწყობის მიზნით პედაგოგიურ ფაკულტეტზე შეიქმნას შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ასოც. პროფ. მამული ბუჭუხიშვილი-თავმჯდომარე ;
- ასოც. პროფ. მანანა დეისაძე-ადმინისტრაციის წარმომადგენელი; ;
- ასოც. პროფ. ნატო ქობულაძე - „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“-პროგრამის ხელმძღვანელი;
- გიორგი ჭიჭინაძე - „ბიბლიოთეკარი“ - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ლელა ეძგერაძე - „ ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“-პროგრამის განმახორციელებელი;
- შორენა ტყემალაძე - „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“-პროგრამის განმახორციელებელი;
- თემური ბეჟანეიშვილი - „ბიბლიოთეკარი“ - პროგრამის განმახორციელებელი;
- ჟანა ნუცუბიძე - „ბიბლიოთეკარი“ - პროგრამის განმახორციელებელი;
- ხათუნა ჩიხლაძე -პროგრამის დამხმარე ტექნიკური პერსონალი;
- ასოც. პროფ. ნანა შარაბიძე - აწსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

8.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საბაჟო საქმე“ და „სარეკლამო აგენტი“ განახორციელების ხელშეწყობის მიზნით ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიქმნას შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- პროფ. ნანა შონია -თავმჯდომარე
- ასოც. პროფ. მედია ლომინაშვილი - ფრუიძე - ადმინისტრაციის წარმომადგენელი;
- ასოც. პროფ. სერგო სვანაძე - „საბაჟო საქმე“ - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ასოც. პროფ. მაია ახვლედიანი - „სარეკლამო აგენტი“ - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნონა ახვლედიანი - „ საბაჟო საქმე“ - პროგრამის განმახორციელებელი;
- მალხაზი ხელაძე - „საბაჟო საქმე“ - პროგრამის განმახორციელებელი;
- ნანა შენგელია - „სარეკლამო აგენტი“ - პროგრამის განმახორციელებელი;
- ემზარი ჯულაყიძე- „სარეკლამო აგენტი“ - პროგრამის განმახორციელებელი;
- მაია გრძელიძე -პროგრამის დამხმარე ტექნიკური პერსონალი;
- ასოც. პროფ. ნანა შარაბიძე - აწსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

8.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სისტემების ადმინისტრატორი“ განახორციელების ხელშეწყობის მიზნით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიქმნას შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ასოც. პროფ. ნანა ჯულაყიძე -თავმჯდომარე;
- ასოც. პროფ. ნინო გოგოლაძე - ადმინისტრაციის წარმომადგენელი;
- ასოც.პროფ.თეიმურაზფესტვენიძე-„სისტემების ადმინისტრატორი“-პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნოდარი ჭანტურია - „ სისტემების ადმინისტრატორი“ - პროგრამის განმახორციელებელი;
- აკაკი ძნელაძე - „ სისტემების ადმინისტრატორი“ - პროგრამის განმახორციელებელი;
- ციცინო მიქაუტაძე - პროგრამის დამხმარე ტექნიკური პერსონალი;
- ასოც. პროფ. ნანა შარაბიძე -აწსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

8.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ავეჯის კონსტრუირების სპესიალისტი“ განახორციელების ხელშეწყობის მიზნით საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტზე შეიქმნას შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- პროფ. ციცინო თურქაძე - თავმჯდომარე;
- ასოც. პროფ. ვახტანგი კვანტიძე -ადმინისტრაციის წარმომადგენელი;
- ინგა ბოჭოიძე - დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ელზა ფრუიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
- ასოც. პროფ. ვაჟა წიქვაძე- „ავეჯის კონსტრუირების სპესიალისტი“-პროგრამის ხელმძღვანელი;
- მადონა ხუსკივაძე - „ავეჯის კონსტრუირების სპესიალისტი“ -პროგრამის განმახორციელებელი;
- გულადი ლიპარტელიანი - „ავეჯის კონსტრუირების სპესიალისტი“ -პროგრამის განმახორციელებელი;

- სოფიო სოფრომაძე - პროგრამის დამხმარე ტექნიკური პერსონალი;
- ასოც. პროფ. ნანა შარაბიძე - აწსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

9. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციები

9.1. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელი:

- ხელმძღვანელობს და თანამშრომლობს შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრებთან;
- შეთანხმების საფუძველზე ანაწილებს მხარდაჭერის ჯგუფის წევრების ფუნქციებს;
- იცნობს და თვალყურს ადევნებს მხარდაჭერის ჯგუფის წევრების საქმიანობას;
- მონაწილეობს მხარდაჭერის დაგეგმვისა და განხორციელების სქემის შედგენაში;
- ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვებას (მოდულის მიხედვით გაწერილი კალენდარული გეგმა, შესაბამისი სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენება, მტკიცებულებების შერჩევა, შეფასების განხორციელება)და გრაფიკით გაწერილ მხარდაჭერას საკონტაქტო და შეფასების საათებზე დასწრების გზით;
- მონაწილეობას ღებულობს შიდა მხარდაჭერის შეფასებების (თვითშეფასების ანგარიშის მომზადება წელიწადი ორჯერ) განხორციელებაში და აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარდგენას;
- ანგარიშვალდებულია აწსუ-ს პროფესიული პროგრამების დანერგვისა და ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან

9.2. პროგრამის ხელმძღვანელი:

- თანამშრომლობს შიდა მხარდაჭერის ჯგუფთან;
- მონაწილეობს მხარდაჭერის დაგეგმვისა და განხორციელების სქემის შედგენაში;
- ორგანიზებას უწევს პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან გაცნობით შეხვედრას;
- ატარებს პროგრამის პრეზენტაციას;
- ფაკულტეტის ადნიმისტრაციის წარმომადგენელთან ერთად სტუდენტებს აცნობს სწავლების სპეციფიკის თავისებურებებს, სასწავლო სივრცეს და ცხრილს;
- გამოყოფს კონსულტაციებისათვის დროს;
- ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვებას (მოდულის მიხედვით გაწერილი კალენდარული გეგმა, შესაბამისი სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენება, მტკიცებულებების შერჩევა, შეფასების განხორციელება) და გრაფიკით გაწერილ მხარდაჭერას საკონტაქტო და შეფასების საათებზე დასწრების გზით;
- მონაწილეობას ღებულობს შიდა მხარდაჭერის შეფასებების (თვითშეფასების ანგარიშის მომზადება) განხორციელებაში

9.3. ადმინისტრაციის წარმომადგენელი (ფაკ. დეკანის მოადგილე)

- თანამშრომლობს შიდა მხარდაჭერის ჯგუფთან;
- ორგანიზებას უწევს სასწავლო გეგმის შესაბამისად ცხრილის მომზადებას;
- დროულად აწვდის ინფორმაციას მოდულების განმახორციელებლებს სასწავლო პროცესის დაწყებისა და დამთავრების ვადებზე;
- უზრუნველყოფს მოდულით გათვალისწინებული სასწავლო მასალებით და მტკიცებულებების შესაგროვებლად საჭირო ინსტრუმენტებით დროულ მომარაგებას;
- მონაწილეობას ღებულობს შიდა მხარდაჭერის შეფასებების (თვითშეფასების ანგარიშის მომზადება) განხორციელებაში

9.4. პროგრამის განამახორციელებელი (პროგრამის მხარდაჭერის ჯგუფის წევრები)

- თანამშრომლობს შიდა მხარდაჭერის ჯგუფთან;
- ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვებას (მოდულის მიხედვით გაწერილი კალენდარული გეგმა, შესაბამისი სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენება, მტკიცებულებების შერჩევა, შეფასების განხორციელება) და გრაფიკით გაწერილ მხარდაჭერას საკონტაქტო და შეფასების საათებზე დასწრების გზით;

9.5. პროგრამის დამხმარე ტექნიკური პერსონალი:

- თანამშრომლობს შიდა მხარდაჭერის ჯგუფთან;
- ორგანიზებას უწევს სასწავლო აუდიტორიის მზადყოფნას;
- ორგანიზებას უწევს აუდიტორიის სასწავლო მასალებით მომარაგებას;
- ეხმარება მოდულის განმახორციელებლებს მტკიცებულებების შეგროვებასა და სტუდენტთა პორთფოლიოების შექმნაში.

9.6. აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი

- თანამშრომლობს შიდა მხარდაჭერისჯგუფთან;
- მონაწილეობას ღებულობს შიდა მხარდაჭერის შეფასებების (თვითშეფასების ანგარიში მომზადება) განხორციელებაში და აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარდგენაში;
- მოდულური პროგრამების დანერგვის და ხელშეწყობის მიზნით ფაკულტეტზე დაგროვილ გამოცდილებას უზიარებს სხვა ფაკულტეტების წარმომადგენლებს.

10. პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადებისა და მტკიცებულებების შენახვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა

10.1. პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შესაძლებელია არსებობდეს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით;

10.2. პროფესიული სტუდენტების მტკიცებულებების შენახვის ვადად განისაზღვროს კურსდამთავრებულთათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება;

10.3. დაევალოთ მოდულის განმახორციელებელ პირს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებების შენახვა მოდულის დასრულებამდე;

10.4. დაევალოსპროგრამის დამხმარე ტექნიკური პერსონალსმოდულისგანმახორციელებელი პირისაგან ჩაიბაროს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასებების მტკიცებულებები მოდულის დასრულებიდან 10 დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა;

10.5. დაევალოს პროგრამის დამხმარე ტექნიკური პერსონალსმოდულის განმახორციელებელი პირისაგან ჩაიბაროს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასებების მტკიცებულებები მოდულის დასრულებიდან ერთი დღის ვადაში, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა;

10.6 დაევალოს პროგრამის ხელმძღვანელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებების გადაცემა კურსდამთავრებულთათვის უნივერსიტეტის რექტორის №01–04/37 ბრძანებაში (11.07. 2018წ) გაწერილი მუხლების დაცვით.

11. პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისის ფორმისა და უწყისის წარმოების წესის დამტკიცება

11.1 დამტკიცდეს პროფესიული სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების უწყისი თანახმად №1 დანართისა;

11.2 დამტკიცდეს პროფესიული სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების უწყისის წარმოების წესი:

- პროფესიული მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების უწყის საწარმოებს ელექტრონულად;

- სწავლის შედეგის შეფასების და განმეორებითი შეფასების პერიოდში პროფესიულ მასწავლებელს მონაცემები ეტაპობრივად შეაქვს უწყისში;
- მოდულის დასრულებისას პროფესიული მასწავლებელი ელექტრონული უწყისის ამობეჭდილ და ხელმოწერილ ვარიანტს აბარებს ფაკულტეტის დეკანატში, ფაკულტეტის დეკანის შიგა განკარგულებით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირს.

დანართი-1

სსიპაკაკიწერეთლისსახელმწიფოუნივერსიტეტი

სწავლისშედეგებისშეფასებისუწყისი №

(მოდულისსარეგისტრაციონომერი/ პროგრამაზე სწავლის დაწყების წელი)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

ჯგუფი:

მოდული:

კრედიტებისრაოდენობა:

პროგრამის განმახორციელებელი/ განმახორციელებლები:

თარიღი:(მიეთითება მოდულის დასრულებისას ამობეჭდვის თარიღი)

შეფასების #	შეფასება 1		შეფასება 2		შეფასება 3		შეფასება 4		განმეორებითი შეფასება		განმეორებითი შეფასება		განმეორებითი შეფასება		განმეორებითი შეფასება		მოდულის შედეგების დადასტურება
სწავლის შედეგი/ შეფასების კრიტერიუმები																	
შეფასების ფორმა	თეორიული		პრაქტიკული დავალება დაკვირვებით		პრაქტიკული დავალება												დაადასტურა/ ვერ დაადასტურა
შეფასებისდადასტურება/ ჩატარების თარიღი	დიახ/არა	თარიღი	დიახ/არა	თარიღი	დიახ/არა	თარიღი	დიახ/არა	თარიღი	დიახ/არა	თარიღი	დიახ/არა	თარიღი	დიახ/არა	თარიღი	დიახ/არა	თარიღი	
1.	არა																დაადასტურა
2.																	დაადასტურა
3.																	დაადასტურა
4.																	
5.																	
6.																	
7.																	
8.																	
9.																	
10.																	
11.																	

პროგრამის განმახორციელებელი/ განმახორციელებლები:

12. შეფასების ინსტრუმენტის ჩარჩო/სტრუქტურის დამტკიცებისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების წესის დამტკიცება
    12.1. დამტკიცდეს მოდულის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შეფასების ინსტრუმენტის ჩარჩო/სტრუქტურა თანახმად №2 დანართისა;
    12.2. მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია,შეფასების ინსტრუმენტის ჩარჩო / სტრუქტურის შესაბამისად, შეიმუშაოს შეფასების ისეთი ინსტრუმენტები,რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტის ვალიდურ, სანდო, მოქნილ, მარტივ და მიუკერძოებელ შეფასებას დამოდულზე სწავლის დაწყების დღეს წარადგინოს შიდა მხარდაჭერის ჯგუფში;
    12.3. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები, შეფასების ინსტრუმეტის შემოწმების მიზნით, უზრუნველყოფენ კითხვარის შევსებას და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარესთან წარდგენას;
    12.4. დადებითი დასკვნის შემთხვევაში,შიდა მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარე იძლევა თანხმობას, ხოლო უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი გასაუმჯობესებლად უბრუნდება პროგრამის განმახორციელებელ პირს.

დანართი 2

შეფასების ინსტრუმენტი(ჩარჩო/ სტრუქტურა)

შეთანხმებულია:
ფაკულტეტის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
მოდულისსახელწოდებადასარეგისტრაციონომერი –
პროგრამის სახელწოდება –
პროფესიული მასწავლებელი –
შეფასების ჩატარების თარიღი-

შესაფასებელი სწავლის შედეგი	სწავლის შედეგის ნომერი და სრული ფორმულირება
შესაფასებელი შესრულების კრიტერიუმები	შესრულების კრიტერიუმები
შეფასების მიმართულება	გამოკითხვა/ პრაქტიკული დავალებადაკვირვებით/პრაქტიკული დავალება (ერთ-ერთი ჩამოთვლილთაგან)
შეფასების ინსტრუმენტი	სახელდება შეფასებისინსტრუმენტი (ტესტი/ ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული დავალების პროცესი, პრაქტიკული დავალების შედეგი -პროდუქტი)
შეფასების პროცესის აღწერა	მიეთითება რომელ გარემოში ტარდება შეფასება (A/B/Cგარემო) და შეფასებისთვის განკუთვნილი დრო უნდა აღიწეროს პროცესი
განმეორებითი შეფასების პროცედურა	მიეთითება როდის ტარდება განმეორებითი შეფასება
დავალების შინაარსი	შინაარსი სრულად ფარავს შესაბამისი სწავლის შედეგის შესრულების კრიტერიუმებს
შეფასებისმტკიცებულება	სახელდება შეფასების მტკიცებულება: -პროფესიული სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს და კომპეტენციას. -პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული პრაქტიკული დავალება -პროფესიული მასწავლებლის მიერ წერილობითი ჩანაწერი, შეფასების ფურცელი, რომლებიც ასახავს პროფესიული სტუდენტის მიერ დავალების შესრულების პროცესს.

შეფასების სქემა/ შეფასების კრიტერიუმები	შეფასების სქემა (მოთხოვნებიშეფასების დადასტურებისათვის) შესაძლოა წარმოდგენილი იქნას დანართის/ დანართების სახით

პროფესიული მასწავლებელი: *სახელი გვარი*

13.პროფესიული სტუდენტის, პედაგოგის გამოკითხვის,მეცადინეობებზე დასწრების ოქმის, შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების კითხვარის ფორმების დამტკიცებისა და პროცედურის ვადების განსაზღვრა

13.1 დამტკიცდეს პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ელექტრონული ფორმა (დანართი3);

13.2. დამტკიცდესპროფესიული მასწავლებლის გამოკითხვის ელექტრონული ფორმა (დანართი 4);

13.3. დამტკიცდესსააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრების ოქმის ელექტრონული ფორმა (დანართი 5);

13.4. დამტკიცდესშეფასების ინსტრუმენტისშემოწმების კითხვარის ელექტრონული ფორმა (დანართი 6);

13.5. დამტკიცდესშიდა მხარდაჭერი ჯგუფის ანგარიშის ელექტრონული ფორმა (დანართი 7);

13.6. პროფესიული სტუდენტის ელექტრონული გამოკითხვა განხორციელდეს ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ;

13.7. პროფესიული მასწავლებლის ელექტრონული გამოკითხვა განხორციელდეს მოდულის დასრულების შემდეგ;

13.8. პროფესიული სტუდენტის და მასწავლებლის ელექტრონული გამოკითხვების განხორციელებაზე პასუხიმგებელია მხარდაჭერის ჯგუფის წევრები;

13.9. შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების კითხვარის შევსებასახორციელებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ორი წარმომადგენელი, მოდულის დაწყების დროს;

13.10 სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრებას და ოქმის წარმოებას ახორციელებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ორი წარმომადგენელი, მოდულის მიმდინარეობის პროცესში ორჯერ;

13.11 თვითშეფასების ანგარიშის მოსამზადებლად, პროფესიული სტუდენტის და მასწავლებლის ელექტრონული გამოკითხვების მონაცემთა დამუშავებას ახორციელებენ მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი და აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;

13.12 თვითშეფასების ანგარიშის მოსამზადებლად სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრების ოქმების მონაცემთა დამუშავებას ახორციელებენ მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელი და პროგრამის ხელმძღვანელი;

13.13 მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი და აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი ადგენენ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშს.

13.14 მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელიშიდა მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშს წარუდგენს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

დანართი - 3

მოდულური პროგრამისა და მოდულის დანერგვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში

კითხვარი სტუდენტებისათვის

საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	
მოდულის დასახელება	
მოდულის მასწავლებელი	

<u>გმადლობთ, რომ მონაწილეობთ გამოკითხვაში.</u>

<u>გამოკითხვა ანონიმურია და მიზნად ისახავს მოდულური სწავლების დანერგვის პროცესის შეფასებასპრობლემების იდენტიფიცირების და სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. თქვენი პასუხები, შენიშვნები და კომენტარები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.</u>

გთხოვთ X-ით აღნიშნოთ თქვენთვის მისაღები პასუხი. საჭიროების შემთხვევაში გააკეთეთ კომენტარი/რეკომენდაცია.

№	კითხვები	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი/ რეკომენდაცია.
1. მომზადება					
1.	სასწავლებელმა მომაწოდა ინფორმაცია მოდულური სწავლების შესახებ				
2.	გავეცანი მოდულის სწავლის შედეგებს				
3.	გავეცანი შესრულების კრიტერიუმებს				
4.	გამაცნეს, თუ როგორ მოხდება ჩემი მიღწევების შეფასება მოდულის/პროგრამის ფარგლებში				
5.	ვფიქრობ, რომ მოდულის/პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები გამომადგება მომავალ პროფესიულ საქმიანობაში				
6.	ვიცნობ მთლიანობაში მოდულურ სასწავლო პროგრამას და შესაბამის სასწავლო გეგმას				
2. სასწავლო პროცესი					
7.	მასწავლებელი/მასწავლებლები გასაგებად ხსნიან მასალას				
8.	სწავლის პროცესში ვიღებ საჭირო დახმარებას და კონსულტაციას				
9.	მასწავლებელი სისტემატურად იძლევა შეფასებას, რჩევებსა და რეკომენდაციებს ჩემს მიღწევებთან დაკავშირებით				
10.	სასწავლო პროცესი საინტერესოდ მიმდინარეობს				
11.	მოდულზე გათვალისწიმებული საათები საკმარისია პრაქტიკული უნარების დასაუფლებლად?				
3. რესურსები და სასწავლო გარემო					
12.	შემოთავაზებული სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები,ინტერნეტ-რესურსები) აკმაყოფილებს ჩემს სასწავლო საჭიროებას.				
13.	სასწავლო რესურსები სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) ჩემთვის ხელმისაწვდომია				
14.	სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები მთელი ჯგუფისათვის საკმარისია (მოდულის სწავლებისათვის) - არ გვაქვს პრობლემა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით				
15.	სასწავლო აუდიტორიები (ლაბორატორიები, სახელოსნოები) მოდულის მიზნების შესაბამისადაა აღჭურვილი				
16.	**გაგაჩნიათ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება? (შემოხაზეთ „დიახ“ ან „არა“)**				**დიახ“ შემთხვევაში, გთხოვთ**

					დააკონკრეტოთ:
კომენტარი:					

გთხოვთ გახაზოთ ქვემოთ მოცემულ პასუხებიდან ერთ-ერთი:
ა) ყველა მეცადინეობას დავესწარი
ბ) მაქვს უმნიშვნელო გაცდენები
გ) თითქმის ნახევარს ვაცდენ
დ) უმეტეს შემთხვევაში ვერ ვახერხებ დასწრებას

კითხვარის შევსების თარიღი:

დანართი - 4

მოდულური პროგრამის/მოდულის დანერგვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში

კითხვარი მასწავლებლისათვის

საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
დასანერგიპროგრამის დასახელება	
მოდულის დასახელება	
კრედიტების რაოდენობა	
მასწავლებლის სახელი და გვარი საკონტაქტო ინფორმაცია	

გმადლობთ, რომ მონაწილეობთ გამოკითხვაში.

გამოკითხვა მიზნად ისახავს მოდულური სწავლების დანერგვის პროცესის მონიტორინგის და მხარდაჭერისფარგლებში პრობლემების იდენტიფიცირებას სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. თქვენი პასუხები, შენიშვნები და კომენტარები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

№	**კითხვები**	**დიახ**	**ნაწილობრივ**	**არა**	**შენიშვნები/ რეკომენდაციები**
1.	იცნობთ თუ არა სრულად აღნიშნულ მოდულურ პროგრამას?				
2.	გაქვთ თუ არა თქვენი მოდულის ანალოგიური სწავლის შედეგების მქონე კურსის სწავლების გამოცდილება?				
3.	პირადად მონაწილეობდით თუ არა სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში?				
4.	პირადად მონაწილეობდით თუ არა კალენდარული გეგმის შემუშავების პროცესში?				
5.	მოახდინეთ თუ არა სასწავლო გეგმის ადაპტირება სსსმ სტუდენტების საჭიროებებისთვის?				
6.	მისაღებია თუ არა მოდულის სტრუქტურა?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები მოდულის*

					სტრუქტურასთან დაკავშირებით:
7.	გასაგებია თუ არა მოდულის შინაარსი?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში, დააკონკრეტეთ, წარმოადგილეთ თქვენი რეკომენდაციები*
8.	საჭიროებს თუ არა მოდულის ნაწილები დამატებით დაკონკრეტებას/განმარტებას?				*„ნაწილობრივ“ ან „დიახ“ პასუხის შემთვვევაში, დააფიქსირეთ მოდულის რომელი ნაწილი საჭიროებს დამატებით დაკონკრეტებას/განმარტებას?*
9.	თქვენის აზრით, სწორადაა განსაზღვრული მოდულის გავლის წინაპირობები?				*თქვენი რეკომენდაციები მოდულის გავლის წინაპირობებთან დაკავშირებით.*
10.	სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები კალენდარული გეგმის შემუშავებისას?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
11.	სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის ამხმარე ჩანაწერები შეფასების დაგეგმვისას?				*„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები*
12.	შეესაბამება თუ არა რეკომენდებული თემატიკა მისაღწევ სწავლის შედეგებს?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები
13.	რამდენად შეესაბამება რეკომენდირებული სწავლების მეთოდები მისაღწევ სწავლის შედეგებს?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები
14.	რამდენად შეესაბამება მტკიცებულებები დასადასტურებელ სწავლის შედეგებს?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები
15.	რამდენად შეესაბამება რეკომენდებული შეფასების ინსტრუმენტები დასადასტურებელ შესრულების კრიტერიუმებს?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები
16.	ადეკვატურია თუ არა მოდულის საათების ჯამური რაოდენობა დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები
17.	ადეკვატურია თუ არა საათების გადანაწილება სწავლის შედეგებისა და დატვირთვის ფორმების (ლექცია, პრაქტიკული, დამოუკიდებელი, შეფასება) მიმართ				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები
18.	არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის განხორციელების პროცესი საჭირო მასალებითა და ინვენტარით?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები
19.	არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის განხორციელების პროცესი საგანმანათლებლო რესურსებით (სახელმძღვანელოები, ინტერნეტრესურსები)				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში, დააკონკრეტეთ რა სახელმძღვანელო გესაჭიროებათ
20.	მოდულური სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ხომ არ საჭიროებთ რაიმე საკითხებზე დამატებით ტრეინინგს/ კონსულტირებას?				„ნაწილობრივ“ ან „არა“ პასუხის შემთვვევაში, დააკონკრეტეთ, რომელ საკითხებთან დაკავშირებით საჭიროებთ დამატებით ტრენინგსა და კონსულტირებას?

შემოგვთავაზეთ სარეკომენდაციო წინადადებები პროგრამის დამატებით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე.

საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინეთ დამატებითი კომენტარი, წინადადებები:

კითხვარის შევსების თარიღი:_____

მასწავლებლის ხელმოწერა: _____

დანართი - 5

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სააუდიტორიო
მუშაობაზე დასწრების
ოქმი

საგანმანათლებლო დაწესებულება	სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შიგა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები	1. 2.
დასწრების თარიღი	
პროფესიული პროგრამის დასახელება	
მოდულისდასახელება	
მოდულის ხანგრძლივობა (დაწყება, დამთავრება)	
მეცადინეობის ჩატარების გარემო	
პროფესიული მასწავლებლის სახელი გვარი	

№	მეცადინეობებზე დასწრების კრიტერიუმები	დიახ	არა	პასუხის განმარტება
1	განსახილველი თემის შესაბამისობა კალენდარულიგეგმის თემატიკასთან			
2	მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების შესაბამისობაკალენდარულ გეგმასთან			
3	გამოყენებული სასწავლო რესურსების შესაბამისობა კალენდარულ გეგმასთან			
4	მეცადინეობის ჩატარების გარემოს შესაბამისობა კალენდარულ გეგმასთან			
5	მეცადინეობა მიმდინარეობდა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით			
6	მეცადინეობის პროცესში განხორციელდა უკუკავშირი			
7	დაცულია დროის მენეჯმენტი			

რეკომენდაციები:

მხარდაჭერის ჯგუფის წევრები:

1.

2.

დანართი -6

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოდულური პროგრამის დანერგვა
შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების კითხვარი
ზოგადი ინფორმაცია

მოდულური პროგრამის დასახელება	
მოდულის დასახელებადასარეგისტრაციო ნომერი:	
მოდულის დაწყებისა და დასრულების თარიღი	
შეფასების ინსტრუმენტის დასახელება	მაგ. ტესტი/ პრაქტიკული დავალება/როლური თამაში ან სხვა.
მასწავლებლის სახელი და გვარი	ჩაწერეთ იმ მასწავლებლის სახელი და გვარი, რომელმაც განახორციელა შეფასება

საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შეფასების ინსტრუმენტის შემმოწმებლები - შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრი/წევრები (სახელი და გვარი)	1.---- 2.-----
შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების თარიღი:	

	შეფასების ინსტრუმენტის წინასწარი შემოწმების კრიტერიუმები	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი /შენიშვნები
1.	შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ზოგადი ხასიათის ინფორმაციას (საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: პროგრამის დასახელება:მოდულის დასახელება)				
2.	შეფასების ინსტრუმენტში შესაფასებელი სწავლის შედეგები/შესრულების კრიტერიუმები				
3.	შერჩეული შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისობაშია მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებასთან				
4.	შეფასება ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს				
5.	წარმოდგენილია სტუდენტის მიერ შესასრულებელი დავალების აღწერა				
6.	სტუდენტის მიერ შესასრულებელი დავალების აღწერა მარტივი და გასაგებია				
7.	აღწერილია „დამატებითი პირობები“ *(მაგალითად,როდის შეუძლიათ სახელმძღვანელოებით, ლექსიკონებით ან კალკულატორებით სარგებლობა; შეუძლიათ თუ არა სტუდენტებს თანამშრომლობა და სხვა)*				
8.	განსაზღვრულია დავალების დადასტურების პირობები (თუ რა შემთხვევაში შეფასდება შესრულებული სამუშაო დადებითად)				
9.	დავალების დადასტურების პირობები გასაგებად არის აღწერილი				

10.	განსაზღვრულია რა სახის მტკიცებულება იქნება წარმოდგენილი სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმის დასადასტურებლად				
11.	შერჩეული მტკიცებულება ვალიდურია (მიზნის შესაბამისი)				
12.	შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისია შეფასების განსახორციელებლად				
13.	შეფასების ინსტრუმენტში მითითებულია ავტორი/ავტორები				
14.	შეფასების ინსტრუმენტიში მითითებულია ვერიფიკატორი (ინსტრუმენტის შემმოწმებელი):				
15.	გაწერილია განმეორებითი შეფასებისპროცედურები				
რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტის გასაუმჯობესებლად:					
საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინეთ რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტის გასაუმჯობესებლად					

შეფასების ინსტრუმენტის შემმოწმებლის ხელმოწერა: _____

დანართი-7

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების კითხვარი

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში

დაწესებულების სახელწოდება	აკაკი წერთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის- - - - - - - ფაკულტეტი
შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შემადგენლობა	1. --- 2. ----- 3. ----- 4. ------ 5. ------ 6. ------

ინფორმაცია ფაკულტეტზე ანგარიშის მომენტისთვის დასრულებული მოდულების შესახებ

მოდულის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლები	მოდულის დაწყების და დასრულების თარიღი	კვირეული დატვირთვა	შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ მოდულზე დასწრების თარიღები
პროგრამა 1:					

პროგრამა 2					

ჩატარებული ანალიზის ძირითადი თემები	დანართები
1. საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციის წარმომადგენლის შესრულებული სამუშაოს აღწერა	
ადმინისტრაციის წარმომადგენლის აზრი - ძლიერი მხარეები, გასაუმჯობესებელი მხარეები, ასევე დანერგვის პროცესის ხელშეწყობის რეკომენდაციები და სხვ.	დანართი 1
2. მასწავლანალიზი მოდულების ებლის კითხვარის მიხედვით	
მასწავლებლების კითხვარების ანალიზის საფუძველზე აღწერეთ კონკრეტული მოდულების დანერგვასთან დაკავშირებით დაწესებულების ძლიერი მხარეები, გასაუმჯობესებელი მხარეები, ასევე დანერგვის პროცესის ხელშეწყობის რეკომენდაციები.	დანართი 2 მასწავლებელთა შევსებული კითხვარები (სულ .... ცალი) მიუთითეთ რაოდენობა
3. სტუდენტთა კითხვარების ანალიზი	
	დანართი 3 სტუდენტთა შევსებული კითხვარები (სულ .... ცალი) მიუთითეთ რაოდენობა
4. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ მეცადინეობაზე/შეფასების პროცესზე დასწრების ანალიზი	
	დანართი 4 მეცადინეობაზე დასწრებისოქმები (სულ .... ცალი) მიუთითეთ რაოდენობა
5. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შეფასების კითხვარების ანალიზი	
	დანართი 5 შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების კითხვარი (სულ .... ცალი) მიუთითეთ რაოდენობა
6. პროფესიული პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით ფაკულტეტზე ჩატარებული ღონისძიებების/აქტივობების ანალიზი	

აღწერეთ რა სახის ღონისძიებები განხორციელდა დაწესებულებაში მოდულური პროგრამების წარმატებით დანარგვის მიმართულებით, მაგალითად, დაწესებულების პერსონა;ისთვის მხარდაჭერის ღონისძიებების ამოცანებისა და პროცედურების გაცნობა; მეთოდოლოგიური კონსულტაციების ჩატარება; პროფესიული პროგრამების/მოდულების შინაარსთან დაკავშირებით წამოჭრილი პრობლემების განხილვა (კონკრეტული მოდულის მითითებით); ტრენინგები და ა.შ	**დანართი 6** მოდულური პროგრამების დანარგვასთან დაკავშირებით დაწესებულებაში ჩატარებული ღონისძიებების/აქტივობების დამადასტურებელი მასალა
6. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შენიშვნებიპროფესიული პროგრამების განხორციელებასთანდაკავშირებით	
აღწერეთ რა სახის შენიშვნები/პრობლემები დააფიქსირა შიდა მხარდაჭერის ჯგუფმა არსებული სიტუაციის ანალიზის, დანერგვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ანალიზის და დაწესებულებაში ჩატარებული ღონისძიებები/აქტივობებისსაფუძველზე	
7.შიდა მხარდაჭერის ჯგუფის რეკომენდაციები ფაკულტეტზე პროფესიული პროგრამების განხორციელების პროცესის გაუმჯობესების შესახებ	
აღწერეთ რა არის საჭირო დაწესებულებაში დანერგვის პროცესის გასაუმჯობესებლად	

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის

ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

ანგარიშის შევსების თარიღი: _____

14. ბრძანება ძალაში შევიდეს 2018 წლის 3 დეკემბრიდან.

საფუძველი: 2018 წლის 21 ივნისის №101(17/18) 2015 დადგენილებით განსაზღვრული ნორმების დამტკიცების შესახებ; უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება № 205, § 6 და § 7 30.11. 2018 წ.

რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ასოც. პროფ. ნათია ღაჭავა

სასწავლო პროცესი მართვის
სამსახურის უფროსი: პროფ. იმერი ბასილაძე

პროფესიული პროგრამების
კოორდინატორი: აკად. დოქტორი მ.სვანაძე